გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 122

03 08 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 29 ივლისის N1728-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს სხდომის N13 ოქმის მე-15 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 31 ივლისის N03/2419 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 17 ივლისის N1728-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

1. შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 1 ოქტომბრის N121 განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ მარნეულის, ნარიმანოვის ქუჩა N1-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ნუსხაში და II სადარბაზოს ბინა N15-ს მფლობელის გრაფაში, მფლობელად ნაცვლად ''მიხაილოვა ადილა" განისაზღვროს მამედოვა ადილა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი